წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი, 1 ივლისი 1915 წ. № 32

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე), და ეღირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ივლისიდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 50 კ., 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის“ იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო“ გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская, 4 поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

პირველხარისხოვანი

„კაფე ბორდო“

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

ჟავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენერბური საჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჭკები“. თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

ირ. ევდოშვილს

სრული კრებული ხელის მოწერით ღირს ორი მანეთი. **მთელი შემოსავალი** მგოსანს გადაეცემა.

„საქართველოს“ რედაქციაში (მოსკოვის ქუჩა № 4) მიიღება ხელის მოწერა 0—4

მოცდილი მასწავლებელი ქალი

ეიბულობს და ამზადებს პირველ და მეორე კლასისთვის ქალ-ვაჟს ყველა საშუალო სასწავლებელისას. აგრეთვე ამზადებს, ხელმისაწვდომ ფასებში, ვისაც განმოორებითი გამოცდა ექნება. შეიძლება სახლში მიწვევაც. **მისამართი:** კირპიჩნის შესახვევი, სახლი 12, ოთახი 9. 0—4

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ქ. გ ო რ ზ ი

ექიმი ნ. შ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

ომის დღიური

მიმოხილვა

ბრძოლის ალი მთელ ევროპისა და ოსმალეთის ყველა ფრონტს მოედო და გაცხოველდა. სამთა კავშირის—ავსტრია-გერმანიისა და ოსმალეთის მოქმედება ამტკიცებს, რომ მათ საერთო და შეთანხმებულ გეგმის განხორციელება სურთ. ერთ და იმავე დროს სასტიკი ბრძოლები ასტყდა ყველგან, სადაც კი მტრები პირისპირ უდგანან ერთმანეთს. გერმანელებს იერიშები მოაქვთ რუსეთსა და საფრანგეთში, ავსტრიელებს—რუსეთსა, იტალიასა და სერბიაშიაც, ოსმალეთი კავკასიის ფრონტსაც აწვება და ცდილობს მოკავშირეთა განდევნას გალიპოლის ნახევარ კუნძულიდან და არაბეთიდანაც.

რუსეთის ფრონტზე ამ რამდენიმე დღეში ბრძოლის პირი არ შეცვლილა და არც დიდი ბრძოლა მომხდარა, მაგრამ ზოგი რამ ცვლილება მეტად საყურადღებო და საეჭვოა. საქმე იმაშია, რომ ავსტრო-გერმანელებმა მიანელეს ბრძოლა და თითქო შეფერხდნენ იქ, საცა მოსალოდნელი იყო მათი იერიშების განვითარება, ე. ი. აღმოსავლეთ გალიციასა და ლიუბლინ-ხოლმის გუბერნიებში. მათი ჯარი აქ რამდენიმე ას ვერსზეა გაჭიმული, ბრძოლა კი, ისიც სამოთხე დღეში, მხოლოდ ლიუბლინის სამხრეთით სწარმოებდა, სულ 20—25 ვერსის სიგძეზე, სადაც რუსის ჯარმა გაიმარჯვა, ავსტრიელები შეაჩერა და აქ წინ წამოწეული ბრძოლის პირი გაასწორა. რა ხდება აქ, რას აპირობს ამ მიმართულებით აუარებელი ჯარი მოპირდაპირისა—ჯერ არ ვიცით. ვისლის მარცხენა ნაპირზე გერმანელთა იერიშები და შხამიანი ბოლის ხმარება დემონსტრაცია გამოდგა, რადგან მეორე დღეს ბრძოლა აქ აღარ განახლებულა. სამაგიეროდ გერმანელები აიშალნენ და აფუსფუსდნენ ვისლის მარჯვენა ნაპირიდან მოყოლებული მთელ ბუგო-ნარევის ხაზის გაყოლებით ნემანამდე და ცდილობენ წინ წამოწევას ოსტროლენკა—ლომჟა—ოსოვეცის ციხეებისკენ. მაინც ძნელი საფიქრებელია, რომ ლიუბლინ—ხოლმისკენ მიჩუმება და ბრძოლის გაცხოველება ბუგო—ნარევზე ნიშნავდეს სამხრეთიდან დიდი ჯარის გადაყვანას ჩრდილოეთით, რადგან ასეთი რთული და ძნელი ოპერაცია ასე ადვილად და ასეთ მოკლე დროში შეუძლებელია.

მ. ბ—ლი.

დეპეშები

თბილისი, 27 ივნისი. კავკახიის ჯარის შტაბისაგან. 25 ივნისს ზღვის რაიონში ჩვენმა არტილერიამ გაჰფანტა ოსმალთა ქარავანი. 24 ივნისს ოსმალთა შემოტევა ავბაზიკზე შეჩერებულია. ყარადერბენტის ხეობის მიმართულებით 25 ივნისს ოსმალებს მთელი დღე და ღამე იერიში მოჰქონდათ, რომელიც მოვიგერიეთ. სოფელ სეიგემინთან ბრძოლა გრძელდება. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

თბილისი, 28 ივნისი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 24 ივნისს ზღვის რაიონში და ოლთისის მიმართულებით იშვიათი სროლაა. ყარადერბენტის რაიონში ყარადერბენტ-ჯამბეკის ფრონტზე ჩვენი ჯარი იცავს პოზიციებს ოსმალთა შემოტევისაგან, რომლებსაც დიდი მაშველი ჯარი მოუვიდათ. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

თბილისი, 29 ივნისი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 27 ივნისს ზღვის რაიონში სროლაა. დანარჩენ ფრონტზე შეტაკება არ მომხდარა.

პეტროგრადი, 27 ივნისი. ოფიციალური. მთავარსარდლის შტაბისაგან. 25 ივნისს სოფელ ედნოროჟთან საღამოთი საარტილერიო ბრძოლა იყო. პრასნიშსა და ვისლას შუა იერიშები ხშირდება; ვისლის მარჯვენა ნაპირზე ჩვენი თხრილების დაბრუნების დროს გერმანელებმა საშინელი საარტილერიო სროლა ასტეხეს. 26 ივნისს ლიუბლინის მიმართულებით ბრძოლა გრძელდებოდა. ურუენდოვას სამხრეთით ჩვენი ჯარი მდინარე ვიუნის მიუახლოვდა. მტერი ჯერ კიდევ განაგრძობს „118“ სიმაღლის ბატონობას და თავის უთვალ სათადარიგო ჯარით დაუნებითი იერიშები მოაქვს სოფელ ბისტრიცაზე. მტრის ყველა იერიში მოვიგერიეთ ჩვენ რეზერვების გაბედულ კონტრ-იერიშებით მტერს უკან დავახევინეთ დ 26 ივნისს ნაშუადღევის 3 საათზე შესწყდა აქ ბრძოლა. ვეპრჟისა და დასავლეთ ბუგს შუა სოფელ გრაბოვეცის რაიონში, გრუბეშოვის სამხრეთით, 25 ივნისს ჩვენ თავისუფლად მოვიგერიეთ მტრის იერიში. დასავლეთ ზურგზე კამენკის ზემოდ საარტილერიო ცეცხლია. „ზოლოტაია ლიპასთან“ სოფელ კორუოვთან 26 ივნისს მტერმა შემოტევა გააძლიერა, ხშირად აღწევდა მავთულების ხლართს, მაგრამ ყოველთვის უკუგდებულ იყო ჩვენი ცეცხლით და კონტრ-იერიშით. სხვაგან ცვლილება არ მომხდარა.

პეტროგრადი, 28 ივნისი. ოფიციალური. მთავარსარდლის შტაბისაგან. 27 ივნისს ღამით ოსოვეცთან ჩვენი გარნიზონი ციხიდან გამოვიდა და მოწინააღმდეგის წინ წასაწევი თხრილები დაანგრია. ევდაბნოს რაიონში ხელთ ვიგდეთ და ავაფეთქეთ მოწინააღმდეგის ორი სანაღმო გალერეია. იუზეფოვ-ბისავას ფრონტზე ბრძოლა გრძელდება. 27 ივნისს „118“ სიმაღლე და სოფელი კოვერსკი მოწინააღმდეგეს ეჭირა და თავგამოდებითი იერიში მოჰქონდათ ბისტრიუეცისა და ზემო აღნიშნულ სოფლის შუა. ეს იერიში უკუვაქციეთ და მოწინააღმდეგეს შესამჩნევი ზარალი მივაყენეთ. ბიხავის სამხრეთით ჩვენ ხელთ ვიგდეთ 900 ტყვე, 14 ოფიცერი და 3 ტყვიისმტყორცნელი. დანარჩენ ფრონტზე შესამჩნევი ბრძოლა არ მომხდარა.

პეტროგრადი, 29 ივნისი. ოფიციალი. მთავარსარდლის შტაბისაგან. ბობრისა და ნარევის ზოგიერთ ადგილებში შეტაკებებია. ოსოვეცთან სროლა გრძელდება. ედვაბნოს რაიონში 28 ივნისს ავაფეთქეთ გერმანელთა ნაღმიანი გალერეია. პისა და როზოგოის შუა გერმანელთა შემოტევა მოგერიებულია. ვისლის მარცხენა ნაპირებზე სიჩუმეა. ლიუბლინის მიმართულებითაც სამხედრო მოქმედება შეწყვეტილია. ჩვენმა ჯარმა 22 ივნისს დაწყებული შეტევა დაამთავრა და დაბანაკდა მდინარე ურუენდოვკის მარჯვენა ნაპირის სიმაღლეზე, რომლების აღება ჰქონდათ მათ დავალებული. ხოლმის მიმართულებით სოფელ გრაბოვეცის რაიონში მტერი ამაოდ ცდილობდა ჩვენს თხრილებთან მოახლოვებას. ზემო ბუგზე ალაქ ბუსკთან 27 ივნისს მტერმა რამოდენიმე ბატალიონით იერიში მოიტანა. მათ ნება მივეცით 200 ნაბიჯზე მოახლოვებულიყვნენ და შემდეგ ჩვენი ცეცხლით გავფანტეთ. ბევრი მკვდარი და დაჭრილი დასტოვა მტერმა აქ. 26 ივნისს სოფელ მარკოვასთან და დნეპრზე კოროპეცის რაიონში ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიში. ჩვენმა მზვერავმა რაზმმა ზემო ბუგთან და ზოლოტაია ლიპასთან ჩინებულად შეასრულა ზვერვა.

პეტროგრადი, 28 ივნისი. ოფიციალურად კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ოსმალეთის მთავარმა შტაბმა კავკასიის ფრონტზე მომხდარ ბრძოლის გამო შემდეგი გამოაცხადა: 19 ივნისს საზღვრის ახლო შეტაკება კავკასიის ფრონტზე ჩვენს სასარგებლოდ დასრულდაო. უკანასკნელ ბრძოლის დროს ჩვენს მარცხენა წვერზე მოწინააღმდეგემ (რუსებმა) ბრძოლის ველზე 600 მკვდარი დასტოვა, მათს რიცხვში 7 ოფიცერია; ჩვენ ტყვედ წამოვიყვანეთ 2 ოფიცერი, მათში ბატალიონის კომანდირი და აუარებელი ჯარიკაცი. 22 ივნისს ის სამი ცხენოსანი პოლკი, რომელიც სცდილობდა ჩვენს ჯარზე იერიში მოეტანა, ჩვენის ცხენოსნით უკუქცეულ იქნენ. 23 ივნისს მოწინააღმდეგის ცხენოსანი ჩვენის მარჯვენა წვერის ჯარმა უკუაქცია და თავგამოდებით უკან მისდევსო. ოსმალთა ოფიციალ ცნობის ხასიათი მეტად ფართოა და არავითარ სწორ ცნობას არ შეიცავს; რაკი ნათქვამი არ არის, სად მოხდა ბრძოლა, მეტად ცხადია, რომ სწორი არ არის რასაც გვამცნობენ. ოსმალეთის შტაბი ნამდვილ ცნობას იძლევა 10 და 16 ივნისს მომხდარ ბრძოლის გამო, რომელიც სწარმოებდა ახლატის რაიონში ჩრდილოდასავლეთით, ვანის მდინარესთან. იგი ამბობს: 10 ივნისს ადილჯევაზკალიდან, ვანის ტბის მხრით ჩრდილოეთის ნაპირისკენ გამოვიდა რამდენიმე ასეული მზვერავი რაზმი და მცირე რიცხოვანი ქვეითი ჯარი, რათა გაეგოთ მტრის ძლიერება. ეს მცირე რაზმი შეეტაკა მოპირდაპირის ჯარს ახლატიდან აღმოსავლეთით, განდევნა იგი და ახლატში შევიდა, სადაც უფრო ნამდვილი ცნობა მიიღო ოსმალთა ჯარისა და მათი ძალის დალაგებისა ამ რაიონში, რის შემდეგაც, როცა შეასრულა თავისი დანიშნულება, კვლავ ადილჯევაზკალაში შევიდაო. სრულიად უარსაყოფია ოსმალთა შტაბის განცხადება, ვითომ რუსებს ამ ბრძოლაში 600 მოჰკედომოდეს, მათს რიცხვში 7 ოფიცერი, და ვითომ მათგან ტყვედ წაყვანილ ყოფილიყოს 1 ოფიცერი, ერთი პოლკის კომანდირი და მრავალი ჯარისკაცი. რომ 600 კაცი მოკლული ვიგულისხმოთ, მაშინ ამაზე მეტი დაჭრილი იქნებოდა, ნამდვილად კი რაზმის რიცხვი 800—1000 კაცს არ აღემატებოდა, ამ რაზმის დანაკლისი კი მთელ ბრძოლის განმავლობაში სულ 100 კაცია მოკლული და დაჭრილი.

ამ რიგად ყოველი ცნობა ოსმალთა ამ ბრძოლის შესახებ ტყუილია. უფრო დამახასიათებელი ოსმალთა ის არის, რომ ისინი ამბობენ, ვითომ ბრძოლა საზღვარზე ჰხდებოდაო, მაშინ როდესაც მათი ჯარის წვერი მრავალ ბრძოლის შემდეგ მათივე მიწა-წყალზე იყო უკუგდებული რუსეთის საზღვრებიდან 140—180 ვერსამდე.

ასეთს ცნობებს ნაკლები ყურადღება უნდა მიაქციოს საზოგადოებამ, რადგან ნათლად სჩანს, რომ ოსმალები სცდილობენ ფარდა გადააფარონ ბრძოლის ნამდვილ ვითარებას.

ნიში, 25 ივნ. „პრესს ბიუროს“ ცნობით, 21 ივნისს დილის 10 საათზე ავსტრიელებმა დაუშინეს ციხე შაბაცს და ცდილობდნენ მის აღებას. სერბიელების ჯარმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია მტერს. შაბაცი ძველი ციხეა, როგორც სიმაგრე არაფერს წარმოადგენს—ის მხოლოდ საინტერესოა როგორც ისტორიული და მხატვრული ძეგლი.

პეტროგრადი, 26 ივნისი. ახალ გზათა კომისიამ განიხილა საკითხი ახალ გასაყვან რკინის გზის კაზლოვი—სვიატოი კრესტის პირობებისა, რომლის სიგრძე 1000 ვერსს უდრის, და გამოსთქვა ის აზრი, რომ ამ მიზნისთვის საჭიროა ახალ საზოგადოების დაარსება, რომლის წესდებაში, სხვათა შორის, შევა დაუყოვნებლივი გაყვანა რკინის გზისა თბილის—კავკავის შუა, თუ მთავრობის მხრივ შესაფერისი მოთხოვნილება წარედგინა.

ტოკიო, 26 ივნისი. პეტროგრადიდან მოსულ გაზეთ „ასახი“-ს კორესპონდენტმა მოათავსა გაზეთში რუსის ელჩთან საუბარი, სადაც რუს-იაპონიის მჭიდრო დამოკიდებულების შესახებ არის ლაპარაკი, მაგრამ მას არ აღუნიშნავს რუს-იაპონიის კავშირის საჭიროება. „კოკუმინ სოკაი“ ეხება ამ კავშირს და აღნიშნავს, რომ კავშირის მოქმედების ასპარეზად მხოლოდ შორეულ აღმოსავლეთი იქნებაო.

ალექსანდრია, 26 ივნისი. მეჩითში მიმავალ ეგვიპტის სულთანს ფანჯრიდან ყუმბარა ესროლეს, რომელიც ცხენის ფეხებთან დაეცა, მაგრამ არ გასკდა. ბოროტ-გამზრახველი მიიმალა. სულთანი ლოცვის შემდეგ სასეირნოდ გაემგზავრა.

ლონდონი, 27 ივნისი. დასავლეთ აფრიკაში ტყვედ წამოყვანილ გერმანელ ჯარისკაცთა რიცხვი უდრის 3,166-ს, ხოლო აფიცერთა—204-ს. გარდა ამისა გერმანელებს წაართვეს 37 ზარბაზანი და 22 ტყვიისმტყორცნელი.

პარიზი, 27 ივნისი. ოფიციალური ცნობა საზღვაო სამინისტროსი. რადგან გერმანიის კონსულმა ალექსანდრეტაში, მუხედავად 30 აპრილს ფრანგების კრეისერის მოქმედებისა, ხელახლა ამართა ეროვნული დროშა, ფრანგების კრეისერმა ხელმეორედ ზარბაზნები დაუშინა საკონსულოს და ჩამოაგდო დროშა, ამავე დროს ყოველგვარი ზომები იყო მიღებული, რომ სახლებისთვის ზიანი არ მიეყენებინა.

ლონდონი, 27 ივნისი. ხორბლით დატვირთული გემის „მარიონი“-ს, რომელიც კვინსტოუნიდან მიდიოდა, კორკის მახლობლად გერმანელთა წყალქვეშამ ნაღმი ესროლა და ჩასძირა. მეზღვაურებმა უმალვე მიატოვეს გემი და გადარჩნენ.

ჰიდგოლში დიდი პატრიოტული მანიფესტაცია იყო, სადაც კიტჩენერმა სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა, რომ ახალი ჯარის რიცხვმა მოლოდინს გადააჭარბა, მაგრამ ისიც დაუმატა, რომ მსხვერპლი დიდი და ხანგრძლივი იქნებაო. ბოლოს კიტჩენერმა მოუწოდა ყველას, ვისაც კი იარაღის ტარება შეუძლიან, უმალვე ჯარში ჩაეწერეთო.

ლონდონი, 27 ივნისი. თოფის წამლის ქარხნის აფეთქების გამო ვონოლუაში ერთი მუშა მოკვდა და მრავალი დაშავდა.

ასკვიტი, ლორდი კრიუ, კიტჩენერი და ბალფური კონფერენციაზე დასასწრებლად ორშაბათს ქალეში გაემგზავრნენ. იქვე იქნებიან ვივიანი, ტომასი, ჟოფრი და ფრენჩი.

ასკვიტმა და კიტჩენერმა მოწინავე პოზიციებზე რამოდენიმე დღე დაჰყვეს, ჯარი დაათვალიერეს; ისინი ბელგიის მეფემ მიიღო. ინახულეს პირველ და მეორე არმიის მთავარი ბინები. კიტჩენერმა არრასის რაიონში ფრანგების ჯარი დაათვალიერა.

ჰულიდან იტყობინებიან, გერმანელთა წყალქვეშმა გემი „გვიდო“ ჩასძირაო. მეზღვაურნი გადაარჩინეს.

პეტერხედან „ლოიდს“ ატყობინებენ, რუსეთის გემ „ანნას“ გერმანელების წყალქვეშა ნავი სდევნის ჰულიას გზაზე. მეზღვაურნი გემიდან პიტერხედში გად-

მოსხდნენ. გემი „ანნა“ ჯერ არ ჩაძირულა და ისევ ზღვის ზედაპირზე სდგასო.

23 გერმანელ მფრინავიდან, რომელნიც ოდენზესთან იყვნენ დატყვევებულნი, სამი გაიქცა.

სოლუნი, 27 ივნ. კუნძულ მიტილინიდან იუწყებიან, რომ გალიპოლის ფრონტზე ოპერაცია სასტიკ ხასიათს იღებსო. უმაგალითო ბრძოლა ხდება.

ათინა, 27 ივნისი. უკანასკნელ შეტაკების გამო, რომელიც ბულგარეთის ჯარს მოუვიდა ოსმალთა რაზმელებთან, ბულგარეთის ფრაკიაში სამხედრო წესები შემოიღეს.

ლონდონი, 27 ივნ. ფრენჩი იუწყება: 26 ივნისს არა ერთხელ შეეცადა მოწინააღმდეგე იპრიდან ჩრდილოეთით წართმეული თხრილები დაებრუნებინა, მაგრამ გერმანელთა იერიში ჩვენისა და ფრანგთა არტილერიისაგან მოგერიებულ იქმნა. დღეს დილით ორი ღრე და ღამის ბრძოლის შემდეგ არხის დაყოლებით მოწინააღმდეგემ უკან დაიხია, რითაც საშუალება მოგვცა ჩვენი პოზიციები გაგვეფართოვებინა. გერმანელებს წავართვით სამი ნაღმისროლია და ტყვიისმფრქეველი. მოწინააღმდეგეს შესამჩნევი ზარალი მოუვიდა, ნამეტნავად მაშინ, როცა იერიში მოჰქონდა.

ოფიციალად იუწყებიან: რამდენიმე ათასმა ოსმალმა 20 ზარბაზნით აუარებელ არაბების დახმარებით 21 ივნისს ლიაგეჯეში, ადენის ოლქში, ბრიტანიის მცირე რაზმზე იერიში მიიტანა. რაზმი შუაღამემდე უმაგრდებოდა, ლაგეჯეში ცეცხლი გაჩნდა. მომშველი ჯარი წყლისა და ქვიშა-მტვრის გამო დროზე ვერ მოეშველა, ამიტომ ლიაგეჯედან ჯარმა დაიხია. 22 ივნისს უკან დახეული რაზმი მომშველ ჯარს შეუერთდა, მაგრამ სიცხისა და უწყლობის გამო ადენისკენ დაიხია. მოწინააღმდეგემ უკან დადევნება ვერ გაბედა. სამი ბრიტანელი ოფიცერი დაიჭრა. ჯარმა შეიპყრო ოსმალო მაიორი და 30 ჯარისკაცი.

სტოკჰოლმი, 27 ივნ. ვოლფის სააგენტომ გამოაქვეყნა „ნიუ-იორკ-ტაიმსის“ ცნობა, რომლის თანახმად გერმანიის მთავრობას შეერთებულ შტატებთან მოლაპარაკება გაუმართავს, რათა ამერიკასა და გერმანიას შორის პირდაპირი სატელეგრაფო მავთული გაებას. მავთულების გასაყვანად ყოველგვარ ხარჯს გერმანია კისრულობს. ამ მავთულით ისარგებლებენ აგრეთვე ამერიკული გაზეთების კორესპონდენტები გერმანიიდან ცნობების გასაგზავნად. ეს ტელეგრაფი მიიღებს აგრეთვე, ხოლო რაოდენიმე შეღუდვით, კერძო სავაჭრო-დაწესებულებათა დეპეშებსაც. შეერთებული შტატების მთავრობას ეს განცხადება ინგლისათვის წარუდგენია აზრის გამოსათქმელად. ინგლისის მთავრობას პასუხი ჯერ არ მიუცია.

თეირანი, 27 ივნ. დილით შახმა მიიღო ნეიტრალი სახელმწიფოების დესპანები, რომელთაც მიულოცეს მას დაბადებისა და დაგვირგვინების დღე. ოფიციალი მიღების შემდეგ ყაენმა რუსეთისა და ინგლისის დესპანები მიიღო ცერძო აუდენციაზე, რომლის მიზანიც იყო სამინისტრო კრიზისის შესახებ მოლაპარაკება. შახს არ მიაჩნია სასურველად ეხლანდელი მინისტრების გამოცვლა დღევანდელს მომენტში, ხოლო ანგარიშს უწევს მეჯლისის დემოკრატიულ უმცირესობის სულის განწყობილებას. თანდათან ძლიერდება დემოკრატების, ოსმალების და გერმანელების აგიტაცია ფირმან-ფირმანის წინააღმდეგ. ეინედ-დოულეს სამინისტროში დარჩენის იმედი არ არის, მის მაგივრად ინიშნება მუსტაფი ულ-მამელეკი.

პეტროგრადი, 27 ივნ. ჩრდილო-დასავლეთის რაიონის წითელ ჯვრის მთავარ რწმუნებულის ცნობის თანახმად, განთიადისას გერმანელებმა ფრონტის ექვსის ვერსის მანძილზე შხამიანი ბოლი გაუშვეს. დაშავდა შესამჩნევი რიცხვი მებრძოლთა, ზოგი გარდაიცვალა. მოშხამულთა ნიშნები ისეთივეა რაც უწინ იყო. დაშავებულთა თქმით, შხამიან ბოლის ღრუბელი უფრო სქელი ყოფილა და უფრო სწრაფადაც მოდიოდაო, სწორედ ამით აიხსნება, რომ ბოლო დროს მეტი რიცხვი დაიღუპა, მიუხედავად იმისა, რომ შხამიან ბოლის საწინააღმდეგო პირისახვევები ჰქონდათო. პირასახვევების უსარგებლობა აიხსნება იმით, რომ ბოლი მსწრაფლ მოსრიალებს და თვით პირსახვევიც სიცხისგან მალე შრება, იერიშების დროს კი ძნელია მათი მალ-მალე დასველება. გარდა ამისა, პირსახვევს სისქე აკლია, ბოლი შესდევს ჰაერსო. ადგილობრივ გაემგზავრა პროფესორი ლავროვი.

სტოკჰოლმი, 28 ივნისი. ბერლინიდან ოფიციალურად იუწყებიან: შეერთებულ შტატებისადმი მიმართულ საპასუხო ნოტაში ნათქვამია: გერმანიის მტრები ულმობელ ომს აწარმოებენ იმ განზრახვით, რომ სულ ერთიანად მოსპონ გერმანიის ერი. გერმანიის მტრები ამგვარად ამბობენ, რომ იბრძოლებენ ვიდრე გერმანელთა სამკვიდრებელს საბოლოოდ არ გაანადგურებენ. გერმანია ომობს, რომ დაიცვას თვისი არსებობა და ნამდვილი მშვიდობიანობა დაიმკვიდროს. შემდეგ ამისა ნოტაში აღნიშნულია, თუ რამდენად საძნელოა საომარი ოპერაციები წყალქვეშა ნავებისთვის. გერმანიის წყალქვეშა ნავის უფროსს, ვიდრე „ლუზიტანიას“ ჩაიძირებოდა, პასაჟირების გადმოსხმა რომ დაეცლია, მის საკუთარ ნავს უთუოდ ჩასძირავდენ. გამოცდილება ნებას გვაძლევდა გვეფიქრნა, რომ „ლუზიტანიისანა“ დიდი გემი იმდენ ხანს მაინც გაჩერდეს წყალში ნაღმის გასროლის შემდეგ, სანამ „პასაჟირები“ ნავებში ჩასხდომას მოასწრებდნენ. რაკი „ლუზიტანია“ უცბად ჩაიძირა, სჩანს მას ბევრი თვითამფეთქი მასალა მიჰქონდა, რომელიც გერმანიის მტრებისთვის იქნებოდა დანიშნული. გერმანია მზად არის თავის წყალქვეშა გემებს ბრძანება გასცეს თავისუფლად გაატარონ ამერიკის ის სპასაჟირო გემები, რომელთა შესახებაც გერმანია წინდაწინვე იქნება გაფრთხილებული და რომლებსაც განსაკუთრებული ნომრები ექნებათ. ამასთანავე გერმანია იმედოვნებს, რომ ამერიკის მთავრობა თავმდები იქნება, რომ გემებზე კონტრაბანდას ადგილი არ ექნება. რომ გემთა მოგზაურობა უფრო ხშირი გახდეს ამერიკასა და ევროპას შორის, გერმანია წინადადებას იძლევა, ნეიტრალურ ქვეყნების გემებიც გამოყენებულ იქმნან პასაჟირების გადასაზიდად, ოღონდ ამერიკის ბაირაღები უნდა ჰქონდეთ დარჭობილი. თუ არც ეს იკმარეს, გერმანია იმის თანახმაც იქნება, რომ ამ მიზნით ამერიკაში გერმანიის მტრების ოთხი გემიც გამოიყენოს, თვის საკუთარ ბაირაღის ქვეშ. დასასრულ ნოტა აღნიშნავს, რომ გერმანიის მთავრობას იმედი აქვს ვილსონის კეთილ ყურადღებისა და რომ ორთავე მხარის შეთანხმებით მოეწყობა ზღვაზე მიმოსვლის მნიშვნელოვანი საკითხი.

სოფია, 28 ივნისი. მეფე ფერდინანდის თავდამსხმელთა საქმე გაარჩია სამხედრო სასამართლომ, ორს ჩამოხრჩობა მიუსაჯა, მესამეს მცირე წლოვანობის გამო ათი წლის ციხე, მეოთხეს და მეხუთეს 6 და 5 წლის ციხე, მეექვსე გაამართლეს! დასჯილებს ერთის დღის ვადა მიეცათ საკასაციო საჩივრის გადასატანად. სასამართლომ აგრეთვე დაადგინა, პასუხისგებას მიეცეს მთავარ დამნაშავის მეუღლე, რომელიც მეფე ფერდინანდის მოკვლის შეთქმულებაში იღებდა მონაწილეობას და აგრეთვე ყოფილი მინისტრი გენადიევი, რომელიც, როგორც გამოირკვა, მთავარ დამნაშავეს ცოტად თუ ბევრად ფულით დახმარებას უწევდა, რაიცა სასამართლოსაგან სულ ნათლად ვერ იქნა გამორკვეული.

პარიზი, 28 ივნ. დილის ოფიციალი ცნობა. გუშინდელ დღის განმავლობაში ბრიტანელებმა გერმანელთა ყველა იერიში მოიგერიეს. არრასის ჩრდილოეთით ფრანგებმა მტერი თხრილებიდან გააძევეს. სუშეს ჩრდილოეთით მტრის იერიში მოგერიებულ იქნა. დანარჩენ ფრონტზე მხოლოდ საარტილერიო ბრძოლაა, რომელიც განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს ღებულობს ნიუპორის მიდამოებში, ლაპრეტრის ტყეში და ლოტარინგიაში. ალტკირხის მიდამოებში ფრანგების მფრინავმა ჩამოაგდო გერმანელთა ჰაეროპლანი.

ნიუ-იორკი, 28 ივნ. შტაბის გუბერნატორმა მოხსენება წარმოადგინა მორგანის დამჭრელ გოლტის სიკვდილის შესახებ. ციხის მეთვალყურე ამტკიცებს, რომ მან გაიგონა რევოლვერის ხმა და დაუმატა, რომ შესაძლებელი იყო გოლტი გარედან მოეკლათო. გამოძიება მაინც თვითმკვლელობას ადასტურებს. გაზეთები ამტკიცებენ, რომ თვითმკვლელობის მომენტში არც-ერთი ციხის მსახური თავის ადგილას არ იყო. სჩანს გოლტის სიკვდილი ვიღაცისთვის საჭირო იყო უფრო ადრე, ვიდრე ის მთელ შეთქმულებას გამოამჟღავნებდა.

ათინა, 28 ივნ. მოკავშირეებს გალიპოლთან მაშველი ჯარი მოსდით.

ლონდონი, 28 ივნისი. ბერგენიდან მომავალი ნორვეგიის გემი „ნორდას“ გერმანელთა წყალქვეშამ ჩასძირა. მეზღვაურები გადაარჩინეს. ხილით და მადნით დატვირთული მანჩესტერში მიმავალი გემი „ელლისმერი“ კორნოვოლის მახლობლად გერმანიის წყალქვეშამ ჩასძირა.

ნიუ-იორკი, 28 ივნისი. ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ საზოგადო სულიერი განწყობილება ოფიციალი წრეებისა ისეთია, თითქოს გერმანიის ნოტა არ აკმაყოფილებს ამერიკელებს; მოსალოდნელია გერმანია-ამერიკის უარესი კრიზისი. მოელოდებიან ბერლინელ ელჩისაგან თვით ნოტის ტექსტს. რადგანაც ამერიკამ გერმანიისაგან გარანტია ვერ მიიღო, ფიქრობენ, რომ მოლაპარაკებას ბოლო ეღება და დგება მომენტი, როდესაც ამერიკამ თვითონ უნდა დაიცვას საკუთარი უფლებები.

სტოკჰოლმი, 29 ივნ. ბუდაპეშტიდან ოფიციალად იუწყებიან: ფიქრობენ, რომ პურის მოსავალი 46მილიონ კვინტალამდე მიახწევსო, ხოლო შარშან ყოფილა 28 მილიონ ნახევარი კვინტალი. ასეთი მოსავალი იშვიათიაო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

გერმანიის პრესა და რუსის ინტელიგენცია.

გერმანიის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს ამ ბოლო დროს რუსეთის ინტელიგენციას. ჟურნალ „გრენცბოტენს“-ში გიორგი კლეინოვი, რომელიც რუსეთის ცხოვრების მცოდნედ ითვლება, სწერს: „გერმანელებმა უნდა გაიგონ, რომ მათ დაჰკარგეს რუსის ინტელიგენციის სიმპატია. წავიდა ის ნეტარი დრო—უმატებს ავტორი, როდესაც ყოველ ოჯახში გერმანელი გუვერნიორი და მამულში გერმანელი მოურავი ჰყავდათ. დღეს რუსეთში გერმანელს მტრად სთვლიან და ყველაფერი გერმანული ზიზღსა ჰგვრის რუსებს. რუსის ინტელიგენცია გერმანიის წინააღმდეგობას განმათავისუფლებელ ომად სთვლის. თუ ვინმე მეგობარი გვყავს რუსეთში, ეს რამდენიმე რეაქციონერი ფეოდალი იქნებაო“. სწორედ ასეთივე აზრს გამოსთქვამს „ფოსიშე ცაიტუნგი“, რომელიც სწერს: „დღევანდელ მომენტის განსაკუთრებულ საკითხს შეადგენს ის, თუ როგორ შეხედავს ზავის საკითხს სახელმწიფო საათბირო. თეორიულად მოსალოდნელია, რომ ზავის სურვილი სრულიად მიეყუჩდეს, რადგან ქვეყნის დაცვას თვით რუსის საზოგადოება კისრულობს. რუსეთის საზოგადო აზრის მესვეურნი გერმანიას რეაქციის ბუდედ სთვლიან და ჩვენ არ შეგვიძლიან ვიმედთვნოთ, თითქოს ისინი ეცდებიან ზავის ჩამოგდებას“. გაზეთი იმით ინუგეშებს თავს, რომ როდესაც ზავი ჩამოვარდება, რუსეთი იძულებული იქნება გერმანიას დაუახლოვდესო.

გერმანელები ვატიკანშიც მოქმედებენ. გამოირკვა, რომ შარშან აგვისტოში გარდაცვლილი იეზუიტთა ორდენის გენერალი ფრანც ქსავერი აგენტი ყოფილა ბერლინის და ვენის მთავრობისა. ვატიკონში ძალიან ცდილობენ დამალონ ქსავერის დღიური და არ აჩვენონ დღის სინათლე. საფრანგეთის წინააღმდეგ უმთავრესად ის აქეზებდა თურმე. პაპი პიმეათესთანაც ცდილობდა რომ ამ უკანასკნელის გულისყური მიექცია კათოლიკურ ავსტრიისაკენ და ლიუტერანულ გერმანიისაკენ, რომელიც, მიუხედავად მისი ლიუტერანობისა, ვატიკანს დიდ უფლება - უპირატესობას მიანიჭებდა. ფრანც ქსავერს დიდძალი ფული ჰქონია თავის განკარგულებაში; ამ ფულით იგი შველოდა ფრანგ მღვდლებს საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მიზნით ბ-ნი ქსავერი ხშირად ცხოვრობდა პარიზსა და მარსელში, ხელმძღვანელობდა კათოლიკეთა მოქმედებას, რომელმაც ბოლოს და ბოლოს გამოიწვია საფრანგეთთან კონკორდატის გაუქმება. იეზუიტების ეხლანდელი გენერალი, კარდინალი ლედეხოვსკი, ძალიან დაახლოვებული იყო განსვენებულ გენერალთან და დაიჭირა თუ არა მისი ადგილი, შეეძლა მის პოლიტიკის გაგრძელებას. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ლედეხოვსკი მარტო ვენისკენ იხრება, ხოლო რაც გერმანიას შეეხება, სრულ გულგრილობას იჩენს მისდამი.

ქსავერის დღიური, რომელმაც ერთი ალიაქოთი დაატრიალა, სრულიად შემთხვევით იპოვნეს ერთ მიუნხენელ კათოლიკე მღვდელთან. ვატიკანმა მყისვე გაგზავნა თავისი რწმუნებული გერმანიაში მოსალაპარაკებლად. ძნელი გამოსაცნობია თუ როგორ გათავდება ამ დღიურის საქმე, მაგრამ ამ დღიურიდან ერთი რაღაც ცნობა უკვე ყველას გაუგია, სახელდობრ ისა, რომ ქსაევრს ხშირად ჰქონია პირისპირი საუბარი იმპერატორ ვილჰელმთან, ბეტმან—ჰოლვეგთან, თავად ბიულოვთან, იმპერატორ ფრანც იოსებთან და სარაევოში მოკლულ ერც-ჰერცოგ ფრანც ფერდინანდთან. ზოგი ცნობა ფრიად საინტერესოა და გამოსადეგი დაურჩებოდა იტალიის მთავრობას, რადგანაც იგი ცნობა შეეხებოდა იტალიას, როგორც სახელმწიფოს, რომელსაც შეეძლო ესა თუ ის როლი ეთამაშა ნეიტრალობის დაცვითა თუ იარაღით ხელში გამოსვლით.

ბამბა და თოფის წამალი

ცნობილი ინგლისელი ქიმიკოსი ვილიამ რამზაი, რომელიც სამხედრო კონტრაბანდის მეთვალყურე კომისიის პრეზიდენტია, „მატენ“-ში საუკეთესო ცნობებს იძლევა. ომის გამოცხადების დროს გერმანიას ჰქონდა 250,000 ტონა ბამბა (ტონა 62 ფუთია), ყოველ დღიურად მას სჭირდებოდა 1000 ტონა, მაშასადამე, შენახული ბამბა გერმანიას მხოლოდ 8 თვეს ეყოფოდა. აქედან რამზეის ის დასკვნა გამოჰყავს, რომ ომის დასაწყისშივე ბამბაკონდრაბანდად უნდა გამოეცხადებინათ. ეს რომ თავიდანვე მოხერხებულიყო, დღეს გერმანია ომის გაგრძელებას ვერ შესძლებდა. „ჩვენი მთავრობა,—სწერს რამზაი—ბოლოს დარწმუნდა, თუ რა მნიშვნელობა აქვს გერმანიაში ბამბის შეტანის აკრძალვას; მიუხედავად ამისა, მისი ყოველგვარი ცდა ჯერ-ჯეროზით უნაყოფოა“. შემდეგ რამზაი ადარებს შვეიცარიაში, ნორვეგიაში, დანიაში და ჰოლანდიაში შეტანილ ბამბის რაოდენობას გასულ წლისას, სანამ ომი დაიწყებოდა, და წლევანდელს და გვიმტკიცებს, რომ წელს გერმანიას დიდძალი ბამბა შეუზიდია ამ ნეიტრალ სახელმწიფოებიდან.

აი ეს ცხრილი, რომლის ციფრები გამოიხატება 100 ათას ინგლისურ გირვანქაში:

ბამბა შეუტანიათ	1914 წ.	1915 წ.
შვეიცარიაში	337	4564
ნორვეგიაში	130	5570
დანიაში	—	1813
ჰოლანდიაში	424	15394

ეჭვს გარეშეა, რომ ეს ზედმეტი ბამბა გერმანიისთვის შეუტანიათ. ბამბის გაზიდვის აღკრძალვას ნეიტრალურ სახელმწიფოებში რამზაი უმთავრეს მნიშვნელობას აძლევს ინგლისისთვის. მისი აზრით, საჭირო იყო დასაწყისშივე მთელი ზედმეტი ბამბა შეერთებულ შტატებისა ინგლისს ეყიდნა, ამისთვის დაიხარჯებოდა 300 მილიონი მანეთი, მაგრამ ეს ფული შემდეგ სარგებლით დაბრუნდებოდა, და გერმანიასაც სამხედრო მასალა და ყუმბარები დააკლდებოდა. დღეს გერმანელები ცდილობენ ხის ქერქით შესცვალონ ბამბა, მაგრამ რამზაი ამტკიცებს, რომ ეს საკითხი ჯერ ქიმიას გადაწყვეტილი არა აქვსო. რასაკვირველია, შესაძლებელია ცდა, რომ ბამბა სხვა რამე მასალით შეიცვალოს, მაგრამ ასეთი ცდა ძლიერ საშიშია, რადგან დღევანდელი ჭარხნები მხოლოდ დღევანდელ ზარბაზნებისთვის არის შეფარდებული. შესაძლებელია ხის ქერქისგან მომზადდეს თოფის წამალი, მაგრამ თანამედროვე ზარბაზნები თხოულობენ უსათუოდ წმინდა ბამბას. (დ.)

წყალდიდობა დასავლეთ საქართველოში

დეპეშები

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ჟუთაისი, 27 ივნ. გაიმართა წყალდიდობის შესახებ თათბირი, რომელსაც, სხვათა შორის, დაესწრნენ გუბერნატორი და დეპუტატი ჩხენკელი. გამოირკვა, რომ რიონისა, ცხენისწყლისა და ენგურის მომატებით განადგურებულია აუარებელი ყანა და ჯეჯილი, რის გამოც აუცილებელია სრული მოუსავლობა და შიმშილი. გუბერნატორისაგან გაცემულია საჩქარო ბრძანება, რათა დაუყონებლივ გამორკვეულ იქმნას ყოველგან წყალდიდობის მიერ მიყენებული ზარალი. არის იმედი დახმარებისა. ჩხენკელი სთხოვს გუბერნატორს, რათა მან გამოითხოვოს მეფის მოადგილისაგან დაუყონებლივ გამოგზავნა სპეციალისტის ჰიდროტეხნიკოსისა, რომელიც გაეცნობა ადგილობრივ მდგომარეობას და გამოსძებნის საშუალებებს მდინარეთა ნაპირების გამაგრებისას. **ისო.**

(პეტროგრადის სააგენტოსაგან)

ჟუთაისი, 27 ივნ. დასავლეთ ამიერკავკასიაში სამი დღე კოკისპირული წვიმა მოდის; მდინარეებმა გადახეთქეს კალაპოტი; ჯეჯილები და ბაღები განადგურებულია, ხიდები და ბოგირები დანგრეულია. წყალმა წისქვილები წაიღო, რკინის გზები გააფუჭა. ბათომ-ფოთსა და თბილის შუა მისვლა-მოსვლა შეწყვეტილია 24 საათით. ზარალი უთვალავია.

ნუ შევშინდებით!

შემთხვევით საქმემ სწორედ იმ დროს მიმიყვანა დასავლეთ საქართველოში, როდესაც ყველა უბედურების შემდეგ, მას დაატყდა ჯერედ უნახავი ავდარი და წყალდიდობა. ცა თითქოს ჩამოქცევას აპირობდა და წარღვნით ემუქრებოდა ქვეყანას. დაცემულ ადგილებზედ თვით წვიმის წყალი იმდენი გროვდებოდა, რომ ჭირნახული, სიმინდი და შემოსული პური თითქმის მთლად დაფარული იყო... აქა-იქ მოსჩანდნენ საწყალობლად წაქცეული თავთავები და ღეროები. მდინარენი გამოვიდნენ ნაპირებიდან და განძვინებული მხეცივით ეკვეთნენ ნიპირებს, მოჰგლიჯეს მიწას სახნავები, ბაღები, სახლები, ქარხნები, საქონელი და ხალხიც კი. რიონი ამოვიდა კალაპოტიდან და წალეკა მიდამოები, თვით ქუთაისში გადასკდა ნაპირებზედ, დაანგრია რამდენიმე ქარხანა, რესტორანი და სახლი. ხიდეებზედ მიმოსვლა შესწყდა, რადგან სახიფათო შეიქმნა. რკინის გზის ხიდს აუხვია გზა, თითქო აღარ შეიგუა ვიწრო ჩარჩო თვისი, და ორი ვერსის სიშორეზედ გაარღვია ლიანდაგი, აჰყარა რელსები, შპალები და გაჰფანტა, ვიღაცის სახლშიაც კი შეჰყარა და მიანგრია. ქვემო ნაწილში წალეკა მინდვრები და ზღვამდე ატარა ნაკრეფი ხარკი. ცხენისწყალი გაშლილიყო ერთი ვერსის სიგანეზედ და მოამსხვრევდა ყველაფერს, ჰგლეჯდა ხეებს და ახეთქებდა სამტრედიასთან გამართულ ჯებირს. გადალახა ღობეები და მედიდურად, მძიმე ტალღებით გადაეფარა სანაპირო ხნულებს, ბაღებს, თითქო გაწყებ სცდილობდა მოეტიტვლებინა, მოესპო ყოველი ნაშრომი, ნათესი ადამიანისა და ნიშანიც მოესპო კულტურისა, მიქელაძეების, ლორთქიფანიძეების, გრიგოლიების, ჟვანიების და სხვათა მამულები თითქოს ვეშაპს აელოკოსო, ისე გაწმინდა, საცა მოხვდა, და სილით დაჰფარა. ხალხი შეჰყურებდა ამ საცოდაობას და ერთმანეთს ხმასაც ვერ აწვდენდა, რადგან ერთად ერთი გზა-ხიდი-ბორანი მოჰგლიჯა და მისი მავთული სადღაც გადაკარგა.

ეს აღწერილი ეპიზოდები მხოლოდ მეასედი და მეორასედია იმისა, რაც უბედურება დაატრიალა წყალდიდობამ და ისედაც დამშეულ მხარეს მომავლის იმედიც მოუსპო. მოსალოდნელი მოსავალი უნდა სულ ჩალპეს, რადგან გაუთავებელი წვიმები ხელის შეწყობას არ აცლიან არც მუშაობით და არც ბუნებრივი პირობებით. ქუთაისის გაზეთი „სამშობლო“ სამართლიანად აღნიშნავს მდგომარეობას მხოლოდ ერთი სიტყვით „ვიღუპებით“, მაგრამ ეს იყო ბუნებისაგან, და რაც ადამიანთა ხელთ არის, სწორედ გასახარელ მოვლენას წარმოადგენს. ქვეყანა დაცლილია ხალხისაგან და ამ მდგომარეობამ თითქო ჩააფიქრა და შეაჯგუფა ხალხი საერთო საქმისათვის, საერთო აზროვნებისათვის. უბედურებას კი არ დაუკვრევინებია იარაღი, არამედ უფრო მტკიცედ მოუკიდებინებია ხელი. თითქმის ევროპიულად შემუშავებული პატარ-პატარა მამულები, მოვლილ-დაწმენდილი კარ-მიდამოები, სუფთად ნატკეპნი გზები, გაცხოველებული ვაჭრობა აბრეშუმით, ხილით და სხ. ნაწარმოებით, მუშაობა ძველი და ახალი კოოპერატივებისა—ყველა ეს საიმედო ნიშნებს იძლევა, რომ ჩვენი ხალხი გამოფხიზლდა, კულტურულ გზას მტკიცედ დაადგა და შიში აღარ მოგველის უსაქმურობით და უზრუნველობით ამოფხვრისა დედამიწის პირიდან, თუნდა ამაზედ უარესი უბედურებაც დაგვატყდეს. ამიტომ ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ გულის გატეხა არ ვარგა და უნდა გავმხნევდეთ, ღონე მოვიკრიბოთ უმეტესად და შევებრძოლოთ ბუნებასა და კაცობოროტებასა. ხალხის გულში მხნეობის ელემენტები გავაღვივოთ, რადგან სწო-

რედ „ჭირსა შიგან გამაგრება“ გვმართებს და არა წყლის პირს ჯდომა და ტირილი.

რ. გაბაშვილი.

სამშობლო სწერს:

დასავლეთ საქართველოს კვლავ ახალი უბედრება ეწვია. მესამე დღეა, რაც ადიდებულ რიონს თან მოაქვს ყველაფერი. ჩვენ არა გვაქვს ცნობა, რა ხდება ამ ჟამად აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ რაც შეეხება დასავლეთ ნაწილს, ყველა ადგილებიდან ცნობა მივიღეთ მდინარეთა ადიდების შესახებ. ადიდდა რიონი, წყალ-წითელა, ყვირილა, ცხენის წყალი და სხვანი. თვით ქუთაისში წყლის ადიდება ისეთი იყო, რომ ადმინისტრაციამ ხიდებზე მიმოსვლა მოსპო. ნივთიერი ზარალი აურიცხველია. ქუთაისის ქვევით რიონის მთელი ნაპირები წალეკილათ უნდა ჩაითვალოს. სოფლები და დაბები განადგურდა, რკინის გზა წაილეკა და მიმოსვლა შეწყდა. ნამეტნავათ დაზარალებულათ უნდა ჩაითვალოს: სამტრედია, ჭალადიდი და ქალაქი ფოთი. არას ვამბობთ სხვა დაბა-სოფლებზედ. თავის სიდიდით და მსხვერპლთა სიმრავლით წრევანდელ წყალდიდობას მომსწრე არა ჰყავს. ხალხი შიშმა მოიცვა და სასოწარკვეთილებამ. ეს შიში და სასოწარკვეთილება უფრო გაიზრდება, როცა მსხვერპლის რაოდენობა აშკარა გახდება. არაფრის თქმა არ შეგვიძლიან. გონება გვეხშობა, სისხლი გვეყინება, უბედურების მთელ სურათს რომ წარმოიდგენ. შიშმა ისე მოგვიცვა, რომ ერთი სიტყვის მეტს ვერას ვიტყვით. **ვიღუპებით**!—აი ეს სიტყვა, და საჭიროა დახმარება.

ახალი უგედურება

ჩვენი ქვეყნის გაჭირვებას დღეს ბუნებამაც ბანი მისცა, დამწვარს მდუღარე დაასხა. ერთი თვე არის რაც წყალდიდობამ აღმოსავლეთ საქართველოში ქართლ-კახეთი და თბილისი საგრძნობლად დააზარალა და იქაურებს უთვალავი ზიანი მიაყენა.

დღეს კი გაცილებით უარესი უბედურება ბუნებამ დასავლეთ საქართველოს არგუნა.

იმერეთის მკვიდრი, დღეს ახალნაირ, ნივთიერად გამანადგურებელ უბედურების მოწმე და ამტანი შეიქმნა. წყალდიდობამ იმერეთის მიდამოები წალეკა, ააწიოკა.

ომის გამოცხადების დღიდან ეს ერთი წელიწადია იმერლები ბუნების არაჩვეულებრივ მოვლენების მოწმენი არიან. წელს ზამთარი ზამთარს არ ჰგავდა: ერთი დღითაც თოვლი არ გვინახავს. ხოლო თებერვლიდან „ცამ რომ პირი მოხსნა“ სულ წვიმდა და წვიმდა; იშვიათად თუ გამოერეოდა ორი-სამი დღე მზიან-სიცხიანი. გამუდმებულმა წვიმებმა ისედაც დანოტიებული იმერეთის ბუნება, მინდორ-ველები სულ ერთიანად დაანოტივა და სოფლის მეურნეს, რომელსაც მუშა ხელი ომმა მოსტაცა, მეტის-მეტად გაუძნელდა თავის მეურნეობის წარმოება. მან თავ-თავის დროზე ვერც ვერაფრის დარგვა მოასწრო, ვერც დათესა და უამინდობის გამო ნათესნარგავსაც ვერ მოუარა.

სოფლის მეურნეობის ასეთ არანორმალურ პირობებში წარმოებას დღეს ისევ ბუნების რისხვა—წყალდიდობაც ზედ დაერთო და ამან ხომ დააგვირგვინა სოფლის უბედურება. გლეხმა 2—3 დღე კარგი ამინდი ზედიზედ ვერ იხელთა, რომ დაეხნა და დაეთესა ყანები, გაემარგლა და გაემეოროდებინა იგი, დაემუნა და დაერგო ვაზი, გაემსხლა და ეწამლებინა მისთვის და ამრიგად შეემზადებინა ბუნების ტრაპეზზე წლიური სარჩო თვისი მარტოხელი ოჯახისათვის. ბუნებაც და გარეშე პირობებიც მას ყოველნაირად ხელს უშლიდა.

ამიტომ იმედი იმისა, რომ ასეთ ხელის შემშლელ პირობებში იმერელი მეურნე თავის დანათესით და ნაკეთებით წლიურს თუ არა, ნახევარი წლის საზრდოს მაინც მოიწევს, არც მას აქვს და არც მის შემყურე ქალაქის მკვიდრს. მიუხედავად ამისა, მარტოხელად დარჩენილი იგი წელებზე ფიხებს იდგამდა, ძალღონეს არ ზოგავდა და სასოწარკვეთილი მაინც განაგრძობდა მუშაობას და დღევანდლამდის მოიტანია იგი. დღეს კი ძალზე განრისხებულმა ბუნებამ სოფლის მეურნეს თავისი სიმწრით ნაკეთები და მოვლილი მოსავალის ნახევარი მაინც ხელიდან გამოაცალა და შავი ზღვის ტალღებს მისცა.

გუბერნატორის მიერ მთელი გუბერნიიდან მიღებულ დეპეშებით ირკვევა, რომ რიონის, ცხენის წყალის და ინგურის მიდამოებში მაღლობ და ჭალა ადგილებში ნათესი მოსავალი სულ წალეკილია, ნათესი ყანები მოტიტვლებული და ქვემო იმერეთში მოსილულია.

იმერეთში ასეთი საერთო გამანადგურებელი ხასიათის წყალდიდობა არავის ახსოვს წარსული საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა ჩვენში საუკუნოებით ხელუხლებელ ტყეებს შინაურებიც და უცხოელებიც გასანადგურებლად შეესივნენ, გასჩრეს და გაკაფეს თვალუწვდენელი ტყეები,—მისი მიდამოები, არე-მარე დატოვეს ტიტველ-შიშველი, სადაც დღეს ვეღარც თოვლ-ყინვები იკავებს თავს და ვეღარც წვიმის წყალი.

ამას მიყვენ სოფლებიც და სოფლადაც ამოაგდეს ტყეები, გააშიშვლეს მინდვრები და ცა და დედამიწის სიმდიდრე წყლები ვერაფრით იკავებს თავს კლდეღრეებს და ველებში და ამიტომ იმ დღიდან მოყოლებული წყალდიდობა ყოველ წლობით მატულობს და საგრძნობელ ზარალს აყენებს სოფლების და ქალაქების მკვიდრთაც.

წრევანდელი წყალდიდობაც სრულიად ბუნებრივი შედეგია ჩვენი ქვეყნის მაღალ, მთიან ადგილებში ხე-ტყის განადგურებისა, და ამ მოვლენის დაკვირვებულ მეთვალყურესათვის არც გასაკვირი უნდა იყოს გუშინდელი წყალდიდობა იმერეთში. გასაოცარი იყო მხოლოდ სიდიადე ახლანდელი წყალდიდობისა და საერთო მოვლენა მთელ გუბერნიაში მისი სამი უდიდესი წყლებისა: რიონის, ენგურის და ცხენისწყლისა, დანარჩენ პატარა მდინარეების ადიდებაზე რომ აღარა ვსთქვათ.

სურათი რიონის უზომო მომურებისა და მისგან დაზარალების შემდეგნაირია.

რიონი კაი ხანია ჩვეულებრივ მომატების საზღვარს გადასცდა და გათელილ კალაპოტში ვეღარ ეტეოდა. 24 ივნისს ეს მას კარგად დაეტყო, ხოლო 25-ს დილის 7 საათზე ერთბაშად მოვარდა ყვითლად შეღებილი წყალი და მთელი დღე სულ მატულობდა. წყალი უკვე ნახევარ არშინზე ასხამდა ხიდების ძირა რკინის რელსებს, რაიც ჯერ არვის ახსოვს.

ხიდებმა ზრიალიც კი დაიწყეს. გამვლელ-გამოვლელები საგონებელს მიეცნენ და პოლიციასაც აცნობეს. გუბერნატორი და მთელი ადმინისტრაცია ფეხზე დადგა. იწყეს სირბილი რიონის ნაპირებში, ხიდეებზე და წყლით ავსილ სახლებში. შუა დღის შემდეგ სამივე ხიდი გააკავეს, შესწყვიტეს ეტლებით მიმოსვლა და მხოლოდ წითელ ხიდით უშვებდნენ სათითაოდ გამვლელებს. ყველა შიშით და ძრწოლით გარბოდა საშინლად აბობოქრებულ და მგრგვინავ წყალზე გადადგმულ ხიდზე. ბევრს, ნერვებ დასუსტებულებს თავბრუც ესხმოდა ხიდზე გასვლის დროს.

საღამორელე მთელი ქუთაისის ოჯახებიდან გარბოდენ რიონის პირას ამბის გასაგებად თუ რას ახდენდა ასეთის სიძლიერით მოვარდნილი წყალი. ყველა შიშს აეტანა: ძრწოდენ, ერთი მეორეს შესცქეროდნენ და ეუბნებოდნენ: „ეს რა ღვთის წყრომა, რა მოგვევლინა, მეორედ მოსვლაა, წარღვნას მოვესწარით“.

გარეგნულად ასეთი იყო განაპირა და და შუაგულ ქალაქში მცხოვრებთა სულიერი მდგომარეობა, მაგრამ განსაცდელში იყვნენ ჩაცვივნულნი რიონის პირა მცხოვრებნი მარჯვნივ და მარცხნივ ურიების უბნიდან დაწყებული ვიდრე ქალაქის ბოლომდე, კახიანოურის საზღვრამდე. აქ მცხოვრებთა ტირილსა და ჟივილს საზღვარი არ ჰქონდა. რიონის პირა ყოველ სახლის ეზოში, სარდაფებში, ბალკონებში და გალავნებზე იდგენ მამაკაცები ფეხშიშვლები, დარბოდნენ შიგ, გამოჰქონდათ ნივთები, ავეჯეულობა, ქვეშაგები, ტანისამოსი და ოჯახის ყოველივე მოწყობილობა. ყველაფერს ამას იქვე ჰყრიდნენ და სეირის მაყურებელ ხალხს ევედრებოდნენ: გვიშველეთ, მოვეხმარეთ ღვთის გულისათვის, ვიღუპებით!

განსაცდელში მყოფთ, რასაკვირველია, ყველა ეხმარებოდა, მაგრამ ასეთი დახმარება ძალიან ძნელი და სახიფათო იყო, რადგან მოვარდნილი წყალი ერთბაშად უსწრობდა დამხმარეებს და ისინიც ვერ ასწრებდენ ატივტივებულ ნივთების დაჭერას და წყლიდან ამოყრას. ამიტომ მრავალი ნივთი, ოჯახის მოწყობილობა, ცარიელი და ღვინის ბოჭკა, შეშა, დარგული ხეები და ყოველივეს იტაცებდა წყალი და შუაგულ რიონში შეჰქონდა. თითო და ორ-ორი საჟენის სიმაღლეზე ნასროლ წყლის ტალღებით გაგიჟებული რიონი ისეთს შიშს ჰგვრიდა ახლო მაყურებლებს, რომ ძნელად თუ ვინმე ბედავდა მის ახლო მიკარებას და ამ მდგომარეობაში დახმარებაც არვის გაუდიოდა, რადგან სისწაფით წყლის მატება შიშის ზარს ცემდა ყველას.

ერთბაშად მოვარდნილი წყალი მძლავრად იჭრებოდა რიონის მარჯვნივ და მარცხნივ აშენებულ სახლების ჯერ სარდაფებში, ეზოებში და მერე კი მეორე და მესამე სართულში, აივნებში, სამზარეულოებსა და თავლებში, საიდანაც წყალს გამოჰქონდა ყოველგვარი ნივთი, ამტვრევდა კარ-ფანჯრებს, ჰგლეჯდა აივნებს, მოაჯირებს, ხის და ქვის გალავნებს, ვეებერთელა დარგულ ხეებს და ბაღებს, იტაცებდა ოთხფეხ საქონელს, ფრინველს და იმ ხალხსაც, ვინც თავის ან სხვის გადარჩენას ცდილობდა და ფაცურობდა. კაცის მსხვერპლის რაოდენობა ჯერ არავინ იცის.

ქალაქში შემოსასვლელ ჭიმიდან მოყოლებული მარჯვნივ და ურიების უბნიდან მარცხნივ ბალახვნის ქუჩის ბოლომდე გაღმა გამოღმა წყლის პირას არც ერთი სახლ-კარი, ეზო-მიდამო ბაღებით, სარდაფებით არ არის გადარჩენილი დაუზიანებლად, ხის ნაშენობა ხომ ყველგან მოტაცებული, მაგრამ ქვით ნაშენი სახლებიც ბევრია დანგრეული, მაგ. ჯაჭვის ხიდის ყურში რიჟინაშვილის დუქნები და მის მიყოლ-მოყოლა სახლების ძირა სართულები, ეზოები და სხვა.

საგრძნობლად დაზარალებულია ქუთაისის სამეურნეო სკოლის ბაღი, რომლის საუკეთესო მოსილული ნაწილი წინანდელ წყალდიდობისაგან ბევრჯერ გადარჩენია წალეკას და ახლა კი მაინც მისი მსხვერპლი გახდა.

ბალახვანის ქუჩაზე ყველაზე აწიოკებულ-წალეკილია რომანოზ ხათრიძის ხეტყის საწყობი, მისივე სახერხი ჭარხანა, იქვე შუა რიონში გაშენებული დიდი წისქვილი და ორსართულიანი თავის საცხოვრებელი ბინა.

25-ს დილიდან დაწყებული ყველა ამ შენობებსა და საწყობებში იწყო მოზღვავებულმა წყალმა დენა და მოტაცება ჯერ ხის მასალისა, მერე საცხოვრებელ ბინაშიც შეიჭრა წყალი და აქ ააწიოკა ხათრიძის ცოლ-შვილი, რომელთაც მორთეს ყვირილი და წივილი. ხალხი ბაწრებით გადვიდა წყალში, შინიდან დიდის გაჭირვებით გამოიყვანეს ისინი და ამნაირად ამდენი ქონების პატრონს გადურჩინეს ცოლ-შვილი.

ქუთათური მწიგნობარი.

(დასასრული იქნება)

◆ ამ დღეებში წყალდიდობისაგან დაზარალების გამო, თანახმად დეპუტატ ა. ჩხენკელის შუამდგომლობისა, გუბერნატორმა დეპეშით გამოითხოვა მეფის მოადგილისაგან სპეციალისტ გიდროტეხნიკი, რომ მან ინახულოს და გამოიკვლიოს მიზეზი რიონისა და სხვა მდინარეთა ადიდებისა და ზარალიც. იანგარიშოს. საერთო მოხსენება მდინარეთა მოწესრიგების შესახებ საქართველოში. დეპუტატ ჩხენკელისავე შუამდგომლობით უკვე აღძრული აქვს ქუთ. გუბერნატორს მეფისმოადგილის წინაშე, ხოლო იმერეთის დღევანდელმა უბედურებამ ხსენებული შუამდგომლობა უნდა დააჩქაროს.

◆ დეპ. ჩხენკელმა 25 და 26 ივნისს ფეხდაფეხ დაათვალიერა ქუთაისში წყალდიდობისაგან დაზარალებული ადგილები და შემდეგ გუბერნატორთან წავიდა მოსალაპარაკებლად იმისა, თუ რა ზომების მიღებას აპირებს იგი და რა არის საჭირო დღევანდელ მომენტში.

◆ რაჭა-ლეჩხუმის შარა გზაზე დღეჟნებ-ეტლების მიმოსვლა 25-დან შეწყვეტილია შარა გზის მრავალ ალაგას დაზიანების გამო. ამიტომ ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი“-ც იქაურ სამკითხველოებს და კერძო პირებს ვეღარ უგზავნის ყოველ დღე გაზეთებს, ეხლანდელმა წყალდიდობამ ასე მოწყვიტა ეს მხარე ქუთაისს. ჯერ არავინ უწყის რამდენ ხანს გაგრძელდება ეს მდგომარეობა, რადგან ინჟინერს ჯერ აქაური სამხრეთ ოსეთის გზა ნაწყალდიდებს არ შეუმოწმებია.

◆ ვაკე იმერეთიდან, განაპირა გურიიდან და სამეგრელოდან გულის შემზარავი ამბები მოდის წყალდიდობისაგან მოტანილ მსხვერპლთა შესახებ. სოფ. ჯუმათში სოფლის მდინარეს წყალწითელას მოუტაცნია და დაუხჩვია მოხუცი ადამიანი მართა აფხაზავა. აუარებელი მუშა საქონელი საძოვარზე დაუხჩვია მოვარდნილ წყალს, ნათესები, ბაღები და საძოვრები სულ ერთიან მოლექილი და მორიყულია; ზოგან დათესილ მინდვრებში მთელი მორევები გაკეთებულა. ყველა ზარალის აღნუსხვა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია.

ი ხ ო.

პასუხად გ-ნს აგაშიძეს

ას-მეთექვსმეტე (116) ნომერში გაზეთ „სამშობლოში“ დაბეჭდილია „მცირე შენიშვნა“ პატივცემულ ჰაიდარბეგ აბაშიძისა ბ-ნ რ. ინგილოს წერილზედ. სრულიად ვეთანხმებით ბ-ნ აბაშიძეს, რომ ამგვარად დაწერილმა წერილმა შეიძლება გაუგებრობა გამოიწვიოს ქრისტიანსა და მაჰმადიან ქართველებს შორის, მაგრამ ჯერ ერთი ეს წერილი ეკუთვნოდა კერძო პირს და მეორეც ტომით ინგილოს—ამიტომ ჩვენ, როგორც **მომხრენი სარწმუნოების თავისუფლებისა**, ვერ შეუშლიდით ხელს **კერძო** აზრის გამოთქმისას, მით უფრო რომ მთავარი აზრი მთელის წერილისა არა სარწმუნოებრივია, არამედ ეროვნული, რასაც თუნდა წერილის შემდეგი ადგილები ამტკიცებენ: „სარწმუნოებრივი გარჩევა არ იგულისხმების **ეროვნების** სხვა და სხვაობის“ ან კიდევ: „დღევანდელ პირობებში უნდა ვეცადოთ და ვიხმაროთ ყოველივე საშუალება: სიტყვით, წერით, უფრო კი საქმით, მოქმედებით, რომ ინგილო მაჰმადიანმა თავისი თავი **ქართველად** ჩასთვალოს“.

ჩვენ არა მარტო ტაქტიკურის და დროულის მოსაზრებით, არამედ პრინციპიალურადაც უარვყოფთ არა მარტო ყოველგვარ სარწმუნოებრივ ძალდატანებას, არამედ პრაპაგანდის მოწყობასაც კი, ვინაიდან სრულს თავისუფლებას ვაღიარებთ ამ საკითხში. ჩვენ ღმადა გვაქვს შეთვისებული ის აზრი, რომ მაჰმადიანი ქართველები ისეთივე ღვიძლი ძმები არიან ქრისტიანი ქართველებისა, როგორც ერთნიც და მეორენიც თავიანთ შორის, ამიტომ ყოველი გაუგებრობა სარწმუნოებრივ საკითხში აცილებულ უნდა იქმნეს. ჩვენის აზრით, ეროვნულ დაახლოვებაში ამ საკითხს ადგილი არა აქვს და არც უნდა ჰქონედს და თუ ბ-ნი **ინგილო** ჩერდებოდა ამაზედ მხოლოდ იმიტომ, რომ წინააღმდეგი მაგალითების მოწმე იყო, ე. ი. ისეთებისა, რომელნიც ხელახლა ჰკარგავდნენ ქრისტიან ქართველებისაგან და ძალად ამაჰმადიანებდნენ ინგილოელებს, რასაც ეროვნული განხეთქილებაც მოსდევდა.

სრულიად უერთდებით პატივცემულ აბაშიძის აზრს და იმედს გამოვსთქვამთ, რომ საკამათო ამ საკითხში ჩვენსა და მაჰმადიან ქართველებს შორის არაფერი არც არის და არც როდისმე იქნება.

რედაქცია.

დეპეშა

საკუთარ კორესპონდენტისაგან

ქუთაისი, 29 ივნისი. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების საზოგადო კრებამ ხანგრძლივ კამათის შემდეგ 45 ხმით წინააღმდეგ 15-სა გადაწყვიტა საწევრო გადასახადის შემცირება ერთ მანეთამდე. ამ გადაწყვეტილებას ხალხი აღტაცებით დაუხვდა.

კვიცარიძე.

ჩვენ გვგონია, რომ ამ გადაწყვეტილებას ჯერ-ჯერობით მხოლოდ პრინციპიული ხასიათი უნდა ჰქონდეს, რადგან საზოგადოების რომელიმე განყოფილებას უფლება არა აქვს წესდება შესცვალოს. საწევრო გადასახადის დაკლება კი მხოლოდ წესდების შეცვლით შეიძლება.

რედ.

ახალი ამბავი

◆ **კრება.** 28 ივნისს შესდგა „აღორძინების“ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება. მოსმენილ იქმნა დროებითი გამგეობის მოხსენება წარსულ მოქმედების შესახებ და გეგმა მოქმედებისა შემდეგში. კრებამ შემდეგი დადგენილებანი მიიღო: 1) დაეკვალოს ახალ გამგეობას დღეიდგანვე შეუდგეს ვაჭრობის გახსნას, 2) სავაჭრო სახლი გაიხსნას ვაგზლის უბანში, 3) ვაჭრობა უნდა სწარმოებდეს განსაკუთრებით ნაღდზე, 4) გამგეობას უფლება ეძლევა წესდების ფარგლებში აიღოს სესხი.—არჩევნები გამგეობის წევრთა გადაიდო შემდეგი კვირისათვის (5 ივლისი). ამავე კრებაზე უნდა გადასწყდეს საკითხი—„აღორძინება“ მოსკოვის კავშირში წევრად ჩაეწეროს თუ არა; ავრეთვე საკითხი საჭონლის ყიდვის შესახებ სხვა კოოპერატივებთან შეთანხმებით. როგორც აღმოჩნდა, საზოგადოებაში დღემდე ჩაწერილა 750 წევრი, რომელთაგან საწევრო გადასახადი სრულად შემოუტანია ჯერ-ჯერობით 120 კაცს. კრებამ სასურველად სცნა საწევრო ფულის გადახდა 1 იანვრამდე მოახერხოს ყველა წევრმა.

◆ **საგურამოს მამულის დათვალიერება.** ილია ჭავჭავაძისეულის და კნ. ო. ჭავჭავაძის საიჯარო მამულების დასათვალიერებლად საგურამოში იყო ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების მიერ არჩეული საგანგებო კომისია, რომელმაც 2 დღე დაჰყო საგურამოში და გულდასმით დაათვალიერა ყველა კუთხე ხსენებულ მამულებისა. კომისია ამ დღეებში წარუდგენს გამგეობას თავისს მოხსენებას ამ მამულების მდგომარეობის შესახებ. შესაძლებელია რაიმე ცვლილება მოხდეს მამულების მოვლა-პატრონობის წეს-რიგში.

◆ **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების** გამგეობაში ცოტაოდენი ცვლილება მოხდა. საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგმა დ. კარიჭაშვილმა და მუზეუმის გამგემ ს. გორგაძემ თანამდებობაზე უარი განაცხადეს და საზოგადო კრებამ თავმჯდომარის ამხანაგად აირჩია ა. ყიფშიძე, ხოლო მუზეუმის გამგედ—დ. კარიჭაშვილი. გარდა ამისა საბჭოს წინადადებით კრებამ საჭიროდ სცნო მოწვეულ იქნეს მუზეუმის გამგის მეორე თანაშემწე.

◆ **ახალი სახალხო სკოლები.** როგორც ამბობენ, სამოსწავლო მთავრობას აზრად აქვს დუშეთის მაზრაში საერობო თანხით გახსნას 45 პირველდაწყებითი სახალხო სკოლა.

◆ **ქართული წარმოდგენები.** ხარფუხის, ხელოსანთა და ახალი კლუბის ადმინისტრაციამ ვასო აბაშიძეს თხოვნით მიჰმართეს ზაფხულის განმავლობაში ქართული წარმოდგენები გამართოს ხსენებულ კლუბებში, თითო მათგანში კვირაში ერთხელ. ვასო აბაშიძე დათანხმდა. წარსულ შაბათს, 27 ივნისს, პირველი წარმოდგენა უკვე გაიმართა ხელოსანთა კლუბში. ვასო აბაშიძესთან ამავე საგნის თაობაზე მოლაპარაკება აქვს თბილისის საკრებულოს ადმინისტრაციას.

◆ **სიმინდის ღირსების შემოწმება.** ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ დამშეულთათვის ნაყიდი სიმინდის ღირსების შემოწმება ჩრდილო კავკასიაში დაავალა კავკავის საურთიერთო ნდობის საზოგადოების თავმჯდომარეს თავ. იასონ ლორთქიფანძეს.

◆ **კრება.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ დაადგინა ახლო მომავალში გამართოს საზოგადოების წევრთა კრება.

◆ **უბედური შემთხვევა.** უკანასკნელ წყალდიდობის დროს, „ვირის ხიდი“ მოიტაცა მტკვრის ტოტმა ორთაჭალში. ქალაქის გამგეობამ ხიდის ადგილას ბორანი გააკეთა, მაგრამ იგი უხერხული გამოდგა: უსწორ-მასწორია და რიგზე ვერ ადგება მისასვლელ ხიდს. ამ რამდენიმე დღის წინად ბორანიდან გადავარდა ერთი მუშა სომეხი და დაიხრჩო, რომლის გვამი ვეღარ იპოვეს.

◆ **სამხედრო-სამრეწველო** კომიტეტის წევრთა კრება იყო 28 და 29 ივნ. კრებას დაესწრნენ კავკასიის ყველა კუთხიდან საგანგებოდ ჩამოსული მრეწველნი, ტეხნიკოსნი, ვაჭარნი, ქალაქებისა და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენელნი და სხ. კრების მსჯელობის დედა აზრს შეადგენდა საკითხი იმის შესახებ, როგორ და რით დაეხმაროს ჩვენი კუთხე მომქმედ ჯარს. კრებაზე მრავალი სიტყვა წარმოითქვა; ორატორები ამტკიცებდნენ, რომ კავკასიაში აუარებელი მადანია სამხედრო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და ყოველივე, რაც-კი მოიპოვება და რის მოხმარაც დღეს შეგვიძლიან, ადგილობრივ ქარხნებში უნდა დამზადდესო.

ორი საფლავის გადატანა

ბ-ნ გრ. დიასამიძემ ამ რამდენიმე ხნის წინად საზოგადოებას მიჰმართა მოწოდებით, რომ ილიას და აკაკის საფლავები განსაცდელშია ნიაღვრებისაგან და სასწრაფოდ ვუშველოთ რამეო. მე მგონია, ეს მოწოდება ყველა ქართველს გულში ჩასწვდებოდა და აფიქრებინებდა: ამ ორი ძვირფასი საფლავის მოვლა-პატრონობა ყველა ჩვენგანის ვალია და ამიტომ, აბა, რა საშუალებით უნდა ეშველოს მოსალოდნელს უბედურებას, მალე გავიგებ, გაზეთში წავიკითხავ და მეც მხარს დავუჭერ შეძლებისადა გვარადო. სხვებთან ერთად მეც ასე ვფიქრობდი, ველოდებოდი მაგრამ აქამდის ვერავითარს გარკვეულს გზას ვერა ვხედავ საზოგადოებისთვის ნაჩვენებ ზემოხსენებულ საქმის გასაკეთებლად.

მე მინდა გავბედო და ხმა ამოვიღო ამ კითხვაზედ და დავასახელო ერთი გზა მაინც: ეს გახლავთ,—**ორივე საფლავის (თუ სამისა არა) მთაწმინდიდან გადატანა სხვაგან.**

მეტყვიან, ეგ მეტის-მეტად ძნელი საქმეა და ეხლა დაგვიანებულიაო.

რომ ძნელი საქმეა, დაგეთანხმებით, მაგრამ შეუძლებელი მაინც აქ არაფერია. დაგვიანების შესახებ კი მოგახსენებთ, რომ ისევ გვიან სჯობია საქმის გამოსწორება, ვიდრე სულ თავის მინებება და წამხდარი საქმის ისე დატოვება.

მართლაც და, თავიდანვე რა საქნელი საქმე იყო იმ ორი სათაყვანო ადამიანის მთაწმინდის მიუვალ კლდეში დასაფლა-

ЧЕРНОЗЕМНАЯ ПРАВДА

Газета Черноземного районного комитета КПСС и районного Совета депутатов трудящихся

Выходит с 1 января 1917 года

Ударно завершим уборку урожая!

Передовики полей — на помощь отстающим!

Опыт лучших комбайнеров — всем механизаторам!

Каждый день — на счету!

Ударно завершим уборку урожая!

Наступили решающие дни уборки урожая. Погода благоприятствует нам. Сухая, солнечная погода стоит уже несколько дней. Это дает возможность нашим механизаторам работать на полях с полной отдачей.

Но погода может измениться. Осенние дожди могут помешать нам убрать урожай. Поэтому мы должны использовать каждый погожий день, каждый час, каждую минуту для того, чтобы быстрее и лучше убрать урожай.

Наши механизаторы уже показали, что они умеют работать по-фронтовому. Но сейчас, когда до конца уборки осталось немного, нужно работать еще лучше, еще напряженнее.

Сейчас, как никогда, нужна высокая организованность, четкая работа каждого звена, каждого экипажа, каждого механизатора.

Сейчас, как никогда, нужна взаимная помощь, товарищеская выручка.

Сейчас, как никогда, нужно соревнование.

Сейчас, как никогда, нужно использовать опыт передовых комбайнеров, опыт лучших механизаторов.

Сейчас, как никогда, нужно, чтобы каждый комбайнер, каждый механизатор работал на полную мощность своей машины.

Сейчас, как никогда, нужно, чтобы каждый комбайнер, каждый механизатор работал с полной отдачей